



წყლის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის პროექტი

ექსკავატორ მტვირთავების მიწოდება საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის

№ EIB/ G/ICB/01-2010

1. საქართველომ მიიღო კრედიტი ევროპის საინვესტიციო ბანკიდან წყლის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის პროექტის დასაფინანსებლად და აპირებს ამ საკრედიტო თანხის ნაწილი გამოიყენოს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისათვის ექსკავატორ მტვირთავების მიწოდების კონტრაქტისათვის (კონტრაქტი EIB/G/ICB/01-2010).

2. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ უფლებამოსილ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით ქვემოთმოყვანილის მოწოდებისათვის:

ლოტი № 1: 21 ერთეული ექსკავატორ მტვირთავი – (ტიპი ა)

ლოტი № 2: 8 ერთეული ექსკავატორ მტვირთავი – (ტიპი ბ)

მიწოდების პერიოდი - 2-დან 3 თვემდე.

3. საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება მსოფლიო ბანკის მიერ 2004 წლის მაისში გამოცემული და 2006 წლის ოქტომბერში და 2010 წლის მაისში კორექტირებული „რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის სესხებითა და საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტებით განხორციელებული შესყიდვების სახელმძღვანელო დებულებაში“ აღწერილი საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების შესაბამისად და მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს, სახელმძღვანელო დებულებაში განსაზღვრული უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

4. დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის შემოწმება შეუძლიათ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 10:00-დან 18:00 საათამდე საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში ქვემოთ მოცემულ მისამართზე, ელ. მისამართი: procurement@mdf.org.ge; აღმასრულებელი დირექტორი – ბ-ნი კონსტანტინე მგელაძე.

5. საკონკურსო წინადადებები შესაძლოა წარმოდგენილი იქნას ან ერთი კონტრაქტისათვის (ლოტი 1 ან ლოტი 2) ან ორივე კონტრაქტისათვის (ლოტი 1 და ლოტი 2). თითოეული ლოტისათვის მომზადებული და წარმოდგენილი უნდა იქნას ცალკეული საკონკურსო წინადადება. შეფასება თითოეული ლოტისათვის ცალ-ცალკე იწარმოებს, ხოლო კონტრაქტი მიენიჭება იმ კონკურსის მონაწილეს, რომელსაც იმ კონკრეტული ლოტისათვის ექნება წარმოდგენილი ყველაზე დაბალი ფასის მქონე დამაკმაყოფილებელი საკონკურსო წინადადება.

თუკი ყველაზე დაბალი ფასის მქონე კონკურსის მონაწილე ორივე კონტრაქტისათვის აკმაყოფილებს კომბინირებულ კრიტერიუმებს ლოტებისათვის 1 და 2, რაც მითითებულია საკონკურსო დოკუმენტაციის პუნქტებში **ITB 11.1 (g) and 11.1(h) (i)**, კონკურსის მონაწილეს ორივე კონტრაქტი მიენიჭება. თუკი ყველაზე დაბალი ფასის მქონე კონკურსის მონაწილე ორივე კონტრაქტისათვის ვერ აკმაყოფილებს ზემოხსენებულ კომბინირებულ კრიტერიუმებს, მას შემსყიდველის შენედელებსამებრ ორიდან ერთი კონტრაქტი მიენიჭება ყველაზე ეკონომიური კომბინაციის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო მოთხოვნებში შედის:
კონტრაქტის მისანიჭებლად კონკურსის მონაწილე უნდა აკმაყოფილებდეს ქვემოთმოყვანილ კრიტერიუმებს და წარმოადგინოს დოკუმენტაცია შემდეგის დასასაბუთებლად:

- (ა) კონკურსის მონაწილის მინიმალური წლიური ბრუნვა უნდა შეადგენდეს: ლოტისათვის 1 - თითოეული განვლილი სამი წლისათვის 1 მილიონ აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს; ლოტისათვის 2 - თითოეული განვლილი სამი წლისათვის 0.5 მილიონ აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს;
- (ბ) კონკურსის მონაწილეს, ბოლო 3 (სამი) წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული ექსკავატორ მტვირთავების მიწოდების მინიმუმ 2 (ორი) კონტრაქტი.
- (გ) იმ შემთხვევაში თუ კონკურსის მონაწილე კონტრაქტის ფარგლებში გვთავაზობს საქონლის მიწოდებას, რომელსაც იგი არ აწარმოებს, კონკურსის მონაწილე სათანადოდ უნდა იქნას უფლებამოსილი საქონლის მწარმოებლის მიერ, იმისათვის რომ საქონელი მიაწოდოს შემსყიდველის ქვეყანას;
- (დ) კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს I.S.O. (ან ექვივალენტურ ხარისხის მართვის სისტემის სერტიფიკატს);

პრეფერენციული შეღავათები ადგილზე წარმოებული ზოგიერთი საქონლისათვის „არ იქნება“ გამოყენებული. დამატებითი დეტალები მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში.

6. საკონკურსო დოკუმენტაცია ინგლისურ ენაზე კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ ქვემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და თითოეული კომპლექტისათვის აუნაზღაურებადი 200 ლარის (ან ექვივალენტი კონვერტირებად ვალუტაში, პლიუს კურიერის ხარჯები, თუ კონკურსის მონაწილეს სურს, რომ დოკუმენტაცია მიწოდებულ იქნას კურიერის საშუალებით) გადახდისას. მოთხოვნის შემთხვევაში საკონკურსო დოკუმენტაცია მყისვე გაგზავნილ იქნება კურიერის საშუალებით, თუმცა დაკარგვის ან მიწოდების დაგვიანების შემთხვევაში პასუხისმგებლობა არ ეკისრება „შემსყიდველს“. შეძენილი საკონკურსო დოკუმენტაციის ასლი შეიძლება გაეგზავნოს კონკურსის მონაწილეს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

გადახდა იწარმოებს ქვემოთ მითითებულ საბანკო რეკვიზიტებზე თანხის გადარიცხვის საშუალებით:

ევროს გადასარიცხად:
რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი,
ვრ. აბაშიძის ქ. №2, თბილისი, საქართველო
SWIFT: REPL GE 22
C/A No: 001019083750 with

SOCIETE GENERALE, PARIS,FRANCE
SWIFT: SOGE FR PP
ვეროს ანგარიშის №.:10744411699

აშშ დოლარის გადასარიცხად:
რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი,
გრ. აბაშიძის ქ. №2, თბილისი, საქართველო
SWIFT: REPL GE 22
For US Dollar C/A No.: 00195464
SOCIETE GENERALE, N.Y., USA
SWIFT: SOGE US 33

აშშ დოლარის ანგარიშის №.: 10744411699

ლარის გადასარიცხად:
რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი,
გრ. აბაშიძის ქ. №2, თბილისი, საქართველო
ბანკის კოდი: 220101757
ლარის ანგარიშის №.. 10744411699

ბენეფიციარის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

შესაბამისი მითითებით: “მოწვევა სატენდერო პაკეტის შექმნაზე
EIB/ G/ICB/01-2010”

7. საკონსურსო წინადადებები უნდა იქნას სათანადოდ შევსებული და მოწოდებული ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2010 წლის 30 აგვისტოს, 15:00 საათისა (ადგილობრივი დროით). დაგვიანებული წინადადებები უარყოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად. საკონკურსო წინადადებები გაიხსნება კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას. ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია არანაკლებ 44,000 (ორმოცდაოთხათასი) ლარის ეკვივალენტზე ლოტისათვის 1 და 16,000 (თექვსმეტათასი) ლარის ეკვივალენტზე ლოტისათვის 2 ან 60,000 (სამოციათასი) ლარის ეკვივალენტზე ორივე ლოტისათვის.

8. კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია, იხილონ და შეიძინონ საკონკურსო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი:
ბ-ნი კონსტანტინე მგელაძე, აღმასრულებელი დირექტორი
ქ. თბილისი, 0112, დავით აღმაშენებლის გამზირი №150, IV სართული, ოთახი 405
ტელ: (995 32) 48-45-09/10/11/15/55
ფაქსი: (99532) 48 45 55
ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge